



განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი  
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

24 ივნისი, 2019 წელი

## განცხადება

### *საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით*

მივესალმებით, ხელისუფლების მხრიდან საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას, ნაცვლად ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებული 2024 წლისა.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა, მათ შორის მცირე ჯგუფის ინტერესების ასახვას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში.

მიგვაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება პასუხობს საზოგადოებაში არსებულ სამართლიან მოთხოვნებსა და ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებასა და დემოკრატიის გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით 2020 წლისთვის მივიღებთ უფრო სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის საარჩევნო ზღურბლი გაუქმდება, რაც ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებზე ბევრ, თუნდაც მცირე რეიტინგის მქონე პარტიას მიეცემა საშუალება მოიპოვონ მანდატები პარლამენტში. აღნიშნულის შედეგად, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკანონმდებლო ორგანო შეძლებს უფრო რეალისტურად ასახოს ამომრჩევლების არჩევანი და ინტერესები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის ფარგლებში, გადაწყვეტილებები მიიღება არა ერთი პარტიული ინტერესის გათვალისწინებით, არამედ საზოგადოების ფართო სპექტრის ინტერესების შესაბამისად, რაც ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიის გაძლიერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დროულად დაიწყოს აღნიშნული გადაწყვეტილების ტექნიკურად გამართვა და რეფორმასთან დაკავშირებით მომუშავე სამუშაო ჯგუფის გააქტიურება, რათა საზოგადოება მომზადებული შეხვდეს ახალ საარჩევნო გარემოს.

გამოვთქვამთ მზაობას, აქტიურად ჩავეერთოთ საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებული ჯგუფის მუშაობაში, რისთვისაც გაგვაჩნია შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები.

## Statement

### *On the matter of Election System reform of Georgia*

We welcome the decision of the ruling party to change the electoral system and to hold proportional parliamentary elections in 2020 instead of 2024, as it was envisaged in the new Constitution.

This is a very important decision that ensures all of the interests, including those of small groups, will be represented in the legislative body of Georgia.

We believe that this decision responds to the fair demands of the society and will promote stability and strengthen democracy in the country.

It is noteworthy, that because of this decision we will get a more stable political environment by 2020. It is important, that the election threshold for political

parties will be abolished, which means that in the upcoming elections many, even the parties with lowest ratings will be able to gain mandates in the parliament. As a result, the legislative body elected by a proportional system will be able to reflect voters' choice and interests more realistically.

In addition, within the proportional electoral system decisions will be taken not by one party interest but in the interests of a wide spectrum of society, which is very important for the strengthening of the country's development and democracy.

Moreover, it is important to start the technical process of implementation of this decision in a timely manner and to activate the working group on the electoral reforms in order to prepare the public for a new election environment.

We express our readiness to actively engage in the work related to electoral reform, for which we have appropriate proposals and recommendations.